

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N23

ქ.თბილისი

10 ივლისი, 2018 წელი  
16<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი

გიორგი ბირბიჩაძე

რამინა ბერაძე

გულია გოცირიძე

ბექა დავითულიანი

ლევან დავითაშვილი

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

მარინა დათუკიშვილი

თევდორე ისაკაძე

გიორგი დოხტურიშვილი

ანა ლაშხი

ირაკლი ზარქუა

ლილე ლიპარტელიანი

ფრიდონ ინჯია

თინათინ ნიბლოშვილი

გოჩა თევდორაძე

ელენე ოზაშვილი

ერეკლე კუხიანიძე

რევაზ სოხაძე

ნინო ლაცაბიძე

დავით უთმელიძე

შალვა ოგბაიძე

ავთანდილ ცინცაძე

ლევან ჟორჟოლიანი

დავით ჭელიძე

დათო რურუა

ალექსანდრე ხუჯაძე

თამარ ტალიაშვილი

ილია ჯიშვარიანი

ვახტანგ შაქარიშვილი

ქეთევან ჯოხაძე

გიორგი ჩაკვეტაძე

ლევან ჯაფარიძე

ვლადიმერ მნელაძე

ჯაბა ჯიშვარიანი

ლევან ხაბეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ევა ცეცხლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, ძალიან კარგი და მნიშვნელოვანია, რომ გენერალური გეგმა წარმოდგენილია საკრებულოში და განხილვის პროცესში გადავიდა, რადგან გენ.გეგმა უნდა იყოს ის დოკუმენტი, რომელიც არ დაუშვებს გამონაკლისებს. თუმცა, იმის ფიქრის საშუალებას, რომ ეს ასე არ იქნება, იძლევა საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ავარიული სახლებისთვის კოეფიციენტების ცვლილება. ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა იზრუნოს არა მხოლოდ ქალაქის ისტორიულ და დაცვით ზონებში კოეფიციენტების ზრდის შეზღუდვაზე, არამედ, ზოგადად, ამ „მავრე პრაქტიკის“ შეჩერებაზე. თუ უურადღებას მივაქცევთ ამ მიმართულებით დღეს არსებულ რეალობას, დავინახავთ, რომ საკამაოდ ხშირად ხდება კოეფიციენტების მატება, რაც ამახინჯებს ქალაქს და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუ საკრებულო, გენ.გეგმის განხილვის პარალერურად, იმსჯელებს ამ საკითხზეც და ქალაქი გადავა განვითარების ახალ ეტაპზე.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხით წარმოდგენილია კოეფიციენტის მატება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც შენობა-ნაგებობა ექვემდებარება დემონტაჟს და საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლეს, ხოლო ქალაქის ისტორიულ ნაწილში და ცენტრალურ უბნებში კ2 კოეფიციენტის გადაჭარბება აკრძალულია.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან გადაიდგა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი და უახლოეს მომავალში ქალაქს ექნება ახალი გენ.გეგმა, რის შემდეგაც დასრულდება ქაოტური მშენებლობა. მისი თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გენ.გეგმის პროექტში ვერ ნახეს მნიშვნელოვანი და ხელმოსაჭიდი პრობლემები და ცდილობენ გენ.გეგმასთან პირდაპირ კავშირში არმყოფი მცირე თემატიკის მიწებებას იმისთვის, რომ მოხდეს ამ საკითხის ნეგატივიზაცია. ბექა დავითულიანმა განმარტა, რომ გენ.გეგმა ადგენს განაშენიანების არეალებს, ხოლო კოეფიციენტის გაზრდა არის ინდივიდუალური და საგამონაკლისო წესი, რომელიც არავითარ კავშირშია გენ.გეგმასთან და შესაბამისად, მისი განხილვა უნდა მოხდეს ცალკე. მისი თქმით, გენ.გეგმა უნდა იყოს პოლიტიკურ და პარტიულ დღის წესრიგზე ბევრად მაღლა მდგომი დოკუმენტი და მოუწოდა საკრებულოს წევრებს: „ვიმუშაოთ ისე, რომ გაკეთდეს მაქსიმალურად კარგად და ნუ ვეცდებით ხელოვნური პრობლემების გამოძრევას“.

მარინა დათუკიშვილმა საკრებულოს წევრებს მოუწოდა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ ტრაგიკულად დაღუპული ამერიკელი ოჯახის, სმიტების ხსოვნისთვის.

საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სმიტების ოჯახის ხსოვნას.

მარინა დათუკიშვილმა საუბარი განაგრძო და აღნიშნა, რომ რამდენიმე კვირაში 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციიდან გახდება 10 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ საკრებულოს მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია ერთ-ერთი პარკისთვის ოკუპაციის მსხვერპლთა სახელის მინიჭების საკითხი, მიმართა თინათინ ნიბლოშვილს, აპირებს თუ არა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მოსკოვის გამზირისთვის არჩილ ტატუნაშვილის სახელის მინიჭების საკითხის განხილვას და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის დოკუმენტი, რომლის აღსრულება და რეალიზაცია აისახება თითოეულ ჩვენგანზე და ჩვენს თანამოქალაქეზე. მისი თქმით, გენ.გეგმასთან დაკავშირებით, მედიაში კეთდება არასწორი აქცენტები, რაც ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვინას. მნიშვნელოვანია გენ.გეგმით წარმოდგენილი მედეგი ქალაქის კომპონენტი, რაც გულისხმობს ქალაქის სწორ განვითარებას და თუ გვინდა, რომ დასრულდეს წლების განმავლობაში ქალაქში არსებული ურბანული უწესრიგობა, უნდა გადაიდგას რადიკალური და კონკრეტული ნაბიჯები. ასევე, მნიშვნელოვანია თერთმეტი ჩარჩო-გეგმის მომზადება, რომლის საფუძველზეც დაწესდება ქალაქის სხვადასხვა არეალების განაშენიანების წესები. ვახტანგ შაქარიშვილმა აღნშა, რომ გენ.გეგმის წარმოდგენილი პროექტი დღეს არსებული მდგომარეობისთვის შესაფერისი დოკუმენტია, თუმცა ეს არის დოკუმენტი, რომელიც ქალაქის განვითარებასთან და დროსთან ერთად, შესაძლებელია განახლდეს და შესაბამისობაში მოვიდეს კონკრეტულ მომენტში არსებულ მიზნებთან და გამოწვევებთან.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ თბილისის მერს და საკრებულოს უმრავლესობას სურდა „სითი ინსტიტუტთან“ ხელშეკრულების შეწყვეტა, რაც არ მოხდა ოპოზიციის და არასამათავრობო ორგანიზაციების დამსახურებით. შესაბამისად, დღეს რომ გენ.გეგმის მიღებაზე საუბარი, მეტწილად, ოპოზიციის დამსახურებაა. მისი თქმით, წარმოდგენილ პროექტში მითითებულია მხოლოდ ის, რომ სარეკრეაციო ზონა უნდა იყოს სამჯერ მეტი, თუმცა სად და როგორ - არ არის მითითებული, ტრანსპორტი უნდა იყოს კარგი, თუმცა არც ამ შემთხვევაშია დეტალები განმარტებული, ასევე არაფერია მითითებული ზონალურ ცვლილებებზე და კოეფიციენტების მატებაზე, რომლის დისკრეციული უფლება აქვს მერს. აქედან გამომდინარე, თუ მიღებული არ იქნება ისეთი ცვლილებები, რომლებიც თბილისის მერს შეუზღუდავს უფლებებს ზონალურ ცვლილებებთან და კოეფიციენტების მატებასთან დაკავშირებით, არაფერი შეიცვლება და თუ გვინდა, რომ მივიღოთ ისეთი გენერალური გეგმა, რომელიც მორგებული იქნება ქალაქის და თბილისელების ინტერესებზე, გენერალური გეგმის მიღებასთან ერთად, უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, რომ მერს არ ჰქონდეს ზონალური ცვლილების და კოეფიციენტის მატების დისკრეციული უფლება.

რევაზ სოხაძემ, თითქოს გენერალურ გეგმაში არ არის მითითებული სარეკრეაციო ზონების ადგილმდებარეობა და დეტალიზირება, განმარტა, რომ დოკუმენტს თან ერთვის შვიდი თემატური რუკა, სარეკრეაციო ზონების აღწერილობით. მისი თქმით, დეველოპერების მხრიდან მერიის მიმართ უკავშირდება დიდწილად გამოწვეულია სწორედ იმით, რომ კოეფიციენტების მატება მაქსიმალურად მინიმალიზირებულია და აღარ ხდება ისე, როგორც ეს იყო წლების წინ. რაც შეეხება გენ.გეგმის დოკუმენტსა და კოეფიციენტების მომატებას შორის კავშირს, ისინი ერთმანეთთან პირდაპირ ბმაში არ არის - გენ.გეგმა განსაზღვრავს ქალაქის სამშენებლო განვითარებას ჩარჩო-გეგმების და განაშენიანების რეგულირების გეგმების დამუშავების გზით, ხოლო რაც შეეხება ინდივიდუალურ მშენებლობებს, სექტემბრიდან დაიწყება იმ დოკუმენტზე მუშაობა, რომელიც გაითვალისწინებს ამ საკითხებს. რავაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის მხრიდან გენ.გეგმაზე ნეგატიური საუბარი ემსახურება მხოლოდ მათ პოლიტიკურ მიზნებს.

ირაკლი ზარქუამ, ლევან ხაბეიშვილის განცხადებას, რომ ოპოზიციის დამსახურებაა, თითქოსდა მუნიციპალიტეტმა გენ.გეგმის დახვეწაზე მუშაობა „სითი ინსტიტუტთან“ განაგრძო, „კომიკური“ უწინდა და განაცხადა, ყველას ახსოვს ოპოზიციის სურვილი, რომ მიღებული ყოფილიყო გენ.გეგმის პირველადი პროექტი, სადაც ბევრი რამ იყო ბუნდოვანი და გაურკვეველი. ამ ეტაპზე წარმოდგენილი პროექტით კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდა და დაიხვეწა ზონალური, უფლებრივი და ქონებრივი საკითხების გადაწყვეტის გზები, ასახულია განაშენიანების რეგულირების გეგმები და სამშენებლო ნებართვები, შეიქმნა შვიდი თემატური რუკა, სადაც დეტალურად, ზონების მიხედვით არის მითითებული გამწვანებული

ტერიტორიები. ირაკლი ზარქუამ განაცხადა, მნიშვნელოვანია მივიღოთ ისეთი გენერალური გეგმა, რომელიც მორგებული იქნება საზოგადოების ინტერესებზე და ქალაქის განვითარებაზე.

ლილე ლიპარტელიანის თქმით, ოპოზიცია სწორედ იმიტომ ითხოვს სპეციალური ზონალური შეთანხმებების და ინტენსივობის კოეფიციენტების მატების ნებართვების გაცემის შეზღუდვას, რომ გენ.გეგმა იქნება „ჩვეულებრივ მოკვდავთათვის“, ხოლო „ნეპოტისტური, კორუფციული და პოლიტიკურად ანგაუირებული ადამიანებისთვის“ გაკეთდება სპეციალური ზონალური შეთანხმებები. ასევე, ისაუბრა მიკროავტობუსებში კონდიცირებასთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობაზე, განაცხადა, რომ ეს საკითხი დღემდე არ არის მოგვარებული და მოუწოდა საკრებულოს წევრებს, გადადგან უფრო ქმედითი ნაბიჯები ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ კრწანისის რაიონში 8000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოეწყო თანამედროვე სტანდარტების სკვერი, რომელსაც, მერის ინიციატივით, გვსურს ვუწოდოთ ოკუპაციის მსხვერპლთა სახელი. მისი თქმით, საკრებულო, თითქმის ყველა სხდომაზე, ამა თუ იმ ქუჩისთვის ქართველი გმირის სახელის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით იღებს დადებით გადაწყვეტილებას.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ ოპოზიციამ გენ.გეგმაში რაიმე კონკრეტული ხარვეზი ვერ წარმოადგინა, რაც იმს ნიშნავს, რომ საკრებულო მიიღებს კარგ დოკუმენტს. ასევე აღნიშნა, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს მომხდარი ომის შემდეგ, ექვის წელი ადგილობრივ ხელისუფლებაში იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მიმართა მარინა დათუკიშვილს „რატომ არ გაგახსენდათ მოსკოვის გამზირისთვის სახელის შეცვლა“.

რამინა ბერაძის თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლების პოლიტიკური დავალებაა, დღევანდელი ხელისუფლების მიერ გაკეთებული ნებისმიერი საქმე შეაფასონ უარყოფითად და ისე მიაწოდონ საზოგადოებას. მიმდინარე სხდომაზე საუბარი უნდა ყოფილიყო იმ გათვალისწინებულ შენიშვნებზე და გამოსწორებულ ხარვეზებზე, რომლებიც გენ.გეგმის თავდაპირველი პროექტით იყო წარმოდგენილი. კერძოდ: დაიხვეწა კანონმდებლობასთან შეუსაბამო ზონირების საკითხი, დოკუმენტს თან ერთვის თემატური რუკები, აისახა განაშენიანების რეგულირების გეგმები, გაიწერა კერძო საკუთრების შესახებ რეკომენდაციები. ხოლო, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ ქალაქში თერთმეტი არეალი განვითარდება ჩარჩო-გეგმების მიხედვით და იქნება ოთხი ახალი საქალაქო პარკი.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს უპირველესი ინტერესი არის გენერალური გეგმის პროექტის დეტალური შესწავლა და გაანალიზება, რადგან ეს არის დოკუმენტი, რომელიც ეხება ჩვენს ქალაქს და მოსახლეობას. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, უმრავლესობის წარმომადგენელი იქნება ის, თუ ოპოზიციის, საკრებულოს თითოეული წევრის ვალდებულებაა მისი განხილვა არა პოლიტიკურ ჭრილში, არამედ შინაარსობრივად. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტით აღმოფხვრილია აქამდე არსებული ყველა ხარვეზი, რაზეც თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა ერთობლივი მუშაობა და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომ საქმიანად ჩაერთონ პროექტის განხილვის პროცესში და არ გააკეთონ პოლიტიკური განცხადებები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: რუსუდან მირზიკაშვილი

2. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.14.17.001.184, 01.14.17.001.185, 01.10.18.006.134, 01.10.18.006.133 საერთო ფართობი: 47750 კვ.მ.) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

3. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზ. N117, 139-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.001.015; 01.13.06.001.011; 01.13.06.001.016; 01.13.06.001.036; 01.13.06.001.027) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

4. „ქ.თბილისში, სოფელ თხინვალაში, „თელეების მიწა“-ზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.760) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის N90 განკარგულებით დამტკიცებული ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N354 განკარგულებით დამტკიცებული ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობი III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.025.063; 01.14.02.025.062) განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

7. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონი, წინაუბნის ქ. N13; წინაუბნის ქ.N9; ტუსკიას ქ.N12; ტუსკიას ქ.N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.10.17.016.013, 01.10.17.016.016; 01.10.17.016.017; 01.10.17.016.018; 01.10.17.016.020; 01.10.17.016.021; 01.10.17.016.022) ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 თებერვლის N1087135 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

9. „ქ.თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდები: N72.12.01.766.01.501 და N72.12.01.766.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.999) და ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩაზე მდებარე 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.292) შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისთვის“ (ს/ნ.: 205129617) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.01.001.179) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ პირთან - გივი ამბრიაშვილთან (პ/ნ.: 01009003021) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქ.თბილისში, ნუცუბიძის მე-2 მიკრორაიონში, ჟღენტის ქუჩა N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.02.016.010.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქ.თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036.01.1466) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქ.თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.037.01.138) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქ.თბილისში, მარჯანიშვილის მოედანი/ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის N86-90-ის მიმდებარედ არსებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.002.035) 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ანტრე 2008“-ისთვის (ს/კ.: 204549792) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი N38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.05.009.032) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ბერნინისთვის“ (ს/კ.: 400189666) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N81-87-ის მიმდებარედ არსებული 425 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.003.088) 38 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ფარმაციასთვის“ (ს/ნ.: 202191840) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქ.თბილისში, ტაბიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ.: 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.027.029) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „მაის ბარ რესტორნებისთვის“ (ს/ნ.: 406196986) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი N28-ის მიმდებარედ არსებული 45 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.010.042) შპს „მაქრო ქონსტრაქტუნისთვის“ (ს/ნ.: 445433120) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.032.024) 30 კვ. მ. მიწის ნაკვეთის შპს „ქარვის ბარისთვის“ (ს/ნ.: 402041009) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქ.თბილისში, ზაარბრიუკენის მოედანი N2-ის მიმდებარედ 76 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.035.006) შპს „ტიფლის ფაბისთვის“ (ს/ნ.: 405229792) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.031.029) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ფარასისთვის“ (ს/ნ.: 400219269) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლების III მ/რაიონში არსებული უსახელო პარკისთვის ოკუპაციის მსხვერპლთა სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

25. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მუხაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

26. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის II შესახვევისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის მინიჭების შესახებ“ 2006 წლის 12 ივლისის N72 დადგენილების არარად გამოცხადების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

27. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

28. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის ჯამბულ წურწუმიას III და IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

29. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში საზანოს ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

30. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

31. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ბათუმის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

32. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, დიდგორის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

33. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, II ქუჩის II გასასვლელისთვის პაატა ჯანელიძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

34. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ნუშის ბაღების I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

35. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ჭრებალოს ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის ჭრებალოს სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

36. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შვიდი შესახვევისთვის ბროწეულას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

37. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ტაძრის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ტაძრის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

38. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაცი ბაქრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიგა მანჯავიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

39. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილების ქარხანასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ავიაკონსტრუქტორის მიხეილ გრიგორაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

40. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, კულა გლდანელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მამუკა ბუცხრიკიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

41. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ-მაიორის პაატა დათუაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

42. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში, გუდამაყრის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

43. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერის ირაკლი თოიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

44. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

45. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში რაჭის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო შესახვევისთვის რაჭის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

46. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

47. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თამაზ ძიძიგურის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

48. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იოსებ კვაჭაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

49. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ვლადიმერ წითლანაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცოლიკაურის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

50. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, რევაზ სირაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი ჩიხისთვის საბატონოს სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

51. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, ე.წ. III ხევნის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ბადაგის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

52. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, ე.წ. ახალი ხეივნის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის უსახელოურის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

53. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, ე.წ. დიდი ხეივნის ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის დიდი ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

54. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გია გულუას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის რევმატოლოგის, აკადემიკოს ვლადიმერ წითლანაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

55. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, თაბორის მთის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თაბორის მთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

56. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

57. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ფაზისისა და კოლხეთის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის დიოსკურიის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

58. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ქინმარაულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და ერთი შესახვევისთვის რქაწითელის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგნილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა რუსუდან მირზიკაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია განაშენიანების და სპეციალური შეთანხმებების პროცესში სატრანსპორტო და გარემოსდაცვითი პოლიტიკის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი აკონკრეტებს იმ შემთხვევებს, როდესაც საჭიროა ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის სამსახურების სავალდებულო ჩართულობა. რუსუდან მირზიკაშვილმა დეტალურად ისაუბრა, თუ რა შემთხვევაში იქნება სავალდებულო განაშენიანების პროცესში ამ ორი სამსახურის ჩართულობა და რა შემთხვევაში - არა.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა, თუ რამდენად გააუმჯობესებს განაშენიანების მიმართულებით არსებულ სიტუაციას წარმოდგენილი ცვლილებები, ქალაქში არსებული სატრანსპორტო და გარემოსდაცვითი პრობლემების ფონზე. ასევე დაინტერესდა, ცვლილებები ხომ არ გამოიწვევს ბიუროკრატიის გაზრდას, რაც მოქალაქეებს კიდევ უფრო გაურთულებს ცხოვრებას და გაზრდის კორუფციული გარიგებების არსებობის რისკს.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში არსებულმა სრულმა დერეგულაციამ ხელი შეუწყო ქალაქის განადგურებას ურბანული განვითარების თვალსაზრისით. შესაძლებელია, რამდენიმე წლის წინ, სახელმწიფოს განვითარების იმ ეტაპისთვის ეს იყო გარკვეული ეფექტის მომტანი, თუმცა ამან გამოიწვია ის, რომ „დღეს ქალაქში ჰარი არ არის“. აქედან გამომდინარე, არასწორია საუბარი იმაზე, თითქოს ბიუროკრატიის გაჩენა შექმნის დამატებით პრობლემებს. რევაზ სოხაძის თქმით, მუნიციპალიტეტის მიდგომა ქალაქის განაშენიანების მიმართულებით მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ დაცული იყოს ქალაქის და მოსახლეობის ინტერესები და ამასთავე, არ გაუარესდეს კერძო ბიზნესის მდგომარეობა.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების დროს, განაშენიანების კუთხით, იყო დერეგულაცია, თუმცა, იმაზე საუბარს, თუ რა და როგორ იყო წლების წინ, აჯობებს ვისაუბროთ იმაზე, რა იქნება მომავალში და მიმართა რუსუდან მირზიკაშვილს, ინტენსივობის კოეფიციენტების მატებას და სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, განიხილავს თუ არა გენერალურ გეგმაში ჩარევად.

რუსუდან მირზიკაშვილმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები მიმართულია მოქალაქეებსა და მერიას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებისკენ და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპტომიზაციისკენ. ასევე, განმარტა, რომ სპეციალური ზონალური შეთანხმება არ განიხილება, როგორც გენერალურ გეგმაში ჩარევა, რადგან ის არის საგამონაკლისო წესი, როდესაც, ქალაქის რეგულირების დებულებების მიხედვით, პარამეტრებთან მიმართებაში ხდება გარკვეული დაშვევები.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, რევაზ სოხაძის განცხადებაზე, რომ წლების განმავლობაში ქალაქში სამშენებლო მიმართულებით იყო სრული დერეგულაცია, განაცხადა, რომ ის განპირობებული იყო იმით, რომ გაზრდილიყო საზოგადოება.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით ხდება სისტემატიზაცია ისე, რომ გადაწყვეტილების მიღება მოხდება გარკვეულ კრიტერიუმებზე და სტანდარტებზე დაყრდნობით. მისი თქმით, დღევანდელმა ხელისუფლებამ დაიწყო ქალაქში არსებული ურბანული უწესრიგობის დასასრულის დასაწყისი და თითოეული ცვლილებით ხდება იმის დაკანონება, რომ გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებული არ იყოს კონკრეტული ჩინოვნიკების კეთილ ნებაზე.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, თუ რამდენი საგამონაკლისო წესი შეიძლება იყოს წლის განმავლობაში.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ლილე ლიპარტელიანს, რომ მის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან საუბარია იმ შემთხვევებზე, როდესაც შენობა-ნაგებობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და ექვემდებარება დემონტაჟს.

რუსუდან მირზივაშვილმა განმარტა, რომ საგამონაკლისო წესების გაცემის წინაპირობას განსაზღვრავს კანონი და აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებების მიღება მოხდება იმდენჯერ, რამდენჯერაც დადასტურდება შესაბამისი გარემოებების არსებობა.

ლევან ქორქოლიანმა კომენტარი გააკეთა ნიკოლოზ ვაჩეიშვილის განცხადებაზე და აღნიშნა, რომ დერეგულირებას და რეგულირებას შორის ზღვარი გადის იქ, თუ სად იწყება და სად მთავრდება საჯარო ინტერესი. მისი თქმით, სახელმწიფომ კერძო ურთიერთიერთობებში მონაწილეობა უნდა მიიღოს, როგორც კერძო სამართლის სუბიექტმა, ხოლო საჯარო ინტერესის განხორციელებისას - როგორც საჯარო სამართლის სუბიექტმა. რაც შეეხება იმას, რომ გაიზრდება ბიუროკრატია და ეს ხელს შეუწყობს კორუფციული გარიგებების არსებობას, განაცხადა, რომ ბიუროკრატია გულისხმობს კონკრეტული საკითხების სისტემატიზაციას, ხოლო კორუფცია - ეს არის ნება, რომელიც შესაძლებელია გამოვლინდეს ნებისმიერ სფეროში. თუმცა, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში ეს ნება არ არსებობს არც ერთი მიმართულებით.

ბექა დავითულიანის თქმით, რეგულაციებისგან გათავისუფლებამ ქალაქი და მოსახლეობა მიიყვანა დღეს არსებულ მდგომარეობამდე და სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი რეგულაციების დადგენა. რაც შეეხება იმას, რომ ხელისუფლება საზოგადოებას უნდა დაეხმაროს გაზრდაში, განაცხადა, რომ საზოგადოება ნამდვილად ძალიან გაზრდილია, თუმცა ის არ არის ვალდებული ამაღლებული ცონდა ჰქონდეს არქიტექტურულ და ურბანულ საკითხებში და შესაბამისად, საჭიროა კონკრეტული ჩარჩოების და მიმართულების მიცემა. საგამონაკლისო წესთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ დაშვებული იქნება იმდენი გამონაკლისი, რამდენი ავარიული და სიცოცხლისთვის საშიში შენობაც იქნება ქალაქში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დაყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.14.17.001.184, 01.14.17.001.185, 01.10.18.006.134, 01.10.18.006.133 საერთო ფართობი: 47750 კვ.მ.) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დაყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზ. N117, 139-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.001.015; 01.13.06.001.011; 01.13.06.001.016; 01.13.06.001.036; 01.13.06.001.027) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქ.თბილისში, სოფელ თხინვალაში, „თელეების მიწა“-ზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.760) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ დაგეგმილი განაშენიანება სრულად ითვალისწინებს აღნიშნულ ტერიტორიაზე შეთანხმებული ჩარჩო-გეგმით დადგენილ რეგულაციებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის N90 განკარგულებით დამტკიცებული ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ ცვლილება გულისხმობს ტერიტორიის განაშენიანებას საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ში დადგენილი კოეფიციენტებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N354 განვარგულებით დამტკიცებული ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობი III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.025.063; 01.14.02.025.062) განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის მცირედი ცვლილებები, რაც გამოწვეულია ერთ-ერთი შენობა-ნეგებობის აზომვითი ნახაზის კონფიგურაციის დაზუსტებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დაყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

